


რედაქცია

სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ, 1-я редакцію «Дროება»
«დროების» ფასი
თეთლის წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან.
ქვისის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.



ფასი ბანსხადგებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართლის რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ვიილვა ხელის-მოწერა
მომავალს 1884 წლისათვის განკუთვნილ

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის განტორაში, სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, აბალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ განკუთვნილი: ВЪ Тифлисѣ, въ редакцію «Дროება».

Table with 2 columns: Subscription duration and price.
წელიწადი (12 თვით) — 9 მან.
11 თვით — 8 მან. და 50 კ.
10 თვით — 8 მან.
9 თვით — 7 მან. და 50 კ.
8 თვით — 7 მან.
7 თვით — 6 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

„ქართული ბიბლიოთეკა“

(წელიწადი მეორე)
მომავალ 1884 წ. იანვრიდან ქუთაისში «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ-თვე-და-თვე იმავე სახით და სიერით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

სელის მოწერა მიიღება:
ქუთაისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თბილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სახლში.
თბილისში: ბ. ზაქარია შიკინაძესთან, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
გორში: — მკ. შურცელაძისას.
ბათუმში: — იულია ღვთის ასული ჩხეიძისას.
შოთში: — ნატ. მაჭაროვისას.

ფასი თეთლის წლისა 6 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ქუთაისში:
ВЪ Кутаисѣ, въ редакцію журнала «ГРУЗИНСКАЯ БИБЛИОТЕКА».
ხვედრი ფული ხელის-მომწერთა ქუთაისის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.
(10—2) რედაქტორი—გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

6 იანვარს, 1884 წ.
სათავად-აზნაურს სკოლის გამგე კო-მიტეტისაგან იქნება გამართული თბილისის «გერუჟოვის დაბაზისა»
გალი
სკოლის სასარგებლოდ. ქაღალის შეუქმ-ლიანთ დაუსწრებ გულ-შეგრუბი გაბუბი-თა.
ბაღი დაიწყო სადამოს ცხრა სა-თიდაჲ. ფასი ბიდეტებისა 2 მან. ბიდე-ტების უადგა შეიძლება შეკრდოვის სა-განტოში და თვით «გერუჟოკში». 5-4

შპანასქანელი წამი ბონაპარტის.
ტაგისა.
თბილისი, 30 დეკემბერს.
ქერობიელ სახელმწიფოთა შორის საფრანგეთი ყველაზე უფრო შესა-ნიშნავი და საყურადღებოა თავისი პოლიტიკური ცხოვრების დაუცხრობ-ლობით, მუდმივი მოძრაობით და

წეს-წყობილების ხშირ-ხშირის ცელი-ლებით; საფრანგეთის შინაურს პო-ლიტიკურს ცხოვრებას კარგი ხანია, რაც მიუპყრია ყველა განათლებული ქვეყნების განსაკუთრებითი ყურადღე-ბა, რადგანაც მასში ნათლად იხატე-ბა სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მიმარ-თულებათა, აზრთა და პრინციპთა სიკაოველე და ერთმანერო შორის ბრძოლა...

აგერ თოთხმეტეოდე წელიწადია მას აქეთ, რაც საფრანგეთში დაარს-და რესპუბლიკა, რომელმაც უარპყო ნაპოლეონ მე-III-ს სისტემა...
მა გარემოება თვალაჩინო და ნა-თელია ყველასთვის, ვინც კი სინი-დისიერად დაჰკვირვებია საფრანგეთის ისტორიას და თანამედროე მდგომარეობას. მხოლოდ სხვა-და-სხვა სამე-ფო დინასტიათა წარმომადგენელი განუწყვეტლივ ებრძვიან რესპუბლი-კურს წეს-წყობილებას და არ ზოგ-ვენ არაერთარს საშუალებას თავიანთ

წადილის განსახორციელებლად... პრინციპიალური ბრძოლა მოპირ-დაპირეს წინაღობდევ მათის მხრით გადაიქცა ინტრიგებად და მტრო-ბად ერთმანერთ შორის. ასე გა-სინჯეთ ბონაპარტისტებმა არ იციან, რას მოეტიდონ, რომელს წარმომად-გენელს ბონაპარტის დინასტიასს უპირატესობა მისცენ იმ შემთხვევა-ში, თუ ოდესმე ბონაპარტის მონარ-ხია აღადგინეს. მამა და შვილი, ჭე-რომ და მიქტორ ბონაპარტები, ერ-თად ერთი ნუგუმის მცემელი არიან თავიანთ მომხრეებისა. ჭერომმა, ცო-ტათი არ იყოს, შეამცირა თავისი გამ-ბედაობა მას აქეთ, რაც მამბეტას სიკედლის შემდეგ პროკლამაცია გა-მოსცა და ამისათვის სატუსალოში დაჰყო რაოდენიმე დღე. შვილი მისი მიქტორი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის არის წარმომადგენელი ნაპოლეო-ნის სახელისა. ბონაპარტისტი ძასა-ნიაკი ლანძღავს ჭერომს და ცამდი აჰყავს მისი შვილი მიქტორი, რომ-ლის მომხრენი ებრძვიან ჭერომისას; ესეთი ბრძოლა სწორედ სასაცილოა ყველასთვის გარდა ჭერომისტებისა და მიქტორისტებისა.

სხადია, რომ ერთი და იმავე წა-დილის მიმდევართა ერთიერთმანერთ შორის ბრძოლა კარგს ვერას მოას-წავებს; ბონაპარტისტების საქმისათვის, რომელშიაც ინტრიგას და შურს უმ-თავრესი ადგილი დაუჭერიათ. მსეთი გარემოება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ბონაპარტისტებს ფენ-ქვეშ არა-ვითარნი ნიდადი აღარა აქეთ საფრან-გეთში და მათს არსებობას ბოლო უნდა მოეღოს.

ბონაპარტიელები მაინც თავისას არ იშლიან და გაცხარებულს ფაცა-ფუტს შესდგომიან. ორლენისტები სრულიად მიყუჩებულან; მას აქეთ, რაც ისინი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან, მათი გველენაც სამ-ხედრო წრეში თითქმის სრულიად გაჰქრა; ეს გარემოება იმას გვიმტკი-ცებს, რომ ორლენისტების გველე-ნა დამყარებული იყო მხოლოდ მათს გვარიშვილობაზე და სიმდიდრეზე, რომლებითაც სარგებლობდენ ზოგი-ერთა პირები, და არა რომელსამე პრინციპზე. ბონაპარტისტების და ორლენისტების მაგალითი გვარწმუ-ნებს, რომ მათს განძრახვას ფრთა ვერ შეეხმება...

თვით ნაპოლეონ პირველმა, უნიჭიე-რესმა წარმომადგენელმა გვირგვინო-სანთა ვერ დამყარა საფრანგეთში მო-ნარხია. ბურბონი კარლოს მე-X-ე, გა-მეფებული ნაპოლეონ პირველის შემ-დეგ, იმულებული იყო მეფობა დაეტო-ვებინა; მეფე ლუი-ფილიპეც რევოლიუ-ციამ განდევნა საფრანგეთიდან. ამის

შემდეგ პრინციპი ნაპოლეონმა, რეს-პუბლიკის პრეზიდენტმა, საოცარი ლა-ლატის საშუალებით უარპყო რეს-პუბლიკა და დააარსა მონარხია. მან ბევრი უბედურება დამართა საფრან-გეთს და სამარცხენოდ დააბოლოვა თავისი სიცოცხლეც და მეფობაც. ამ გარემოებამ ცოცხლად დამარხა ბო-ნაპარტისტების პარტია, რომელსაც უკანასკნელი წამი უკვე დასდგომია. ბრაჭი შამბორი, ბურბონის დინასტი-ის უმთავრესი წარმომადგენელი, ამა-ოდ ეძიებდა საფრანგეთის ტახტს მთელი თავისი სიცოცხლის განმეა-ლობაში. მაკ-მაჰონი, პრეზიდენტო-ბის დროს, აპირებდა პოლიტიკური ცვლილება მოეხდინა საფრანგეთში, მაგრამ ამაოდ ჩაუარა და თითონ მაკ-მაჰონი გარდაყენებულ-იქმნა პრე-ზიდენტის ადგილიდან...

შინაური ბრძოლა

ჩვენის რკინის გზის გამგეობა, როგორც გუშინდელი შენიშნვიდამ ნახავდით, უცნაურზე უცნაურია. ღლე-საც გვინდა კიდევ სხვა უფრო უცნა-ური ამბავი გაუზიაროთ მკითხველებს. პრამცთუ მარტო «დაროქნი მასტე-რების» შემცირება სწადებია, გამგეო-ბას მომავალ იანვრიდან, არამედ იმა-სა ჰქონია განძრახვა, როგორც ნამ-დვილი წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ შეამციროს აგრეთვე ყარაულე-ბის რიცხვიც. აი ეს როგორ იქნება: ეხლა თითო ვერსტზე ერთი ყარაუ-ლი ადგას გზასა და თვალ-ყური უჭი-რავს, რომ სადმე ზიანი არა ჰქონ-დეთ-რა ან რელსებს, ან თხრილებს, და ამით უბედურება არა შეემთხვას-რა, როგორც მატარებელს, აგრეთვე შიგ მსხდომ ხალხსაც. მხლა გამგეო-ბის გამჭირახობასა სწადიან, რომ სა-მი კაცის საქმე ერთ ადამიანს გააკე-თებინოს, ანუ სამ ვერსტზედ ერთი ყარაული დანიშნოს. აი ეს განკარ-გულება კიდევ რასა ნიშნავს: მთელ გზაზედ რვა მატარებელია დანიშნული დღეში წამსვლელი და მომსვლელი; ზოგჯერ დამატებით ათამდისაც ადის. მარაულის ვალია, ყოველი მატარებ-ლის გავლის წინ, თითო ჯერ აუა-რუს გზას და გასინჯოს მისი მდგო-მარეობა; მაშასადამე, ყარაულს დღე-ში მოუწდება თავისი მინდობილი მანძილის რვა ჯერ გაჯა, რიცხვისა მებრ მატარებლებისა, ესე იგი, იმას დღეში მოუწდება 24 ვერსტის გავლა. მარტო უბრალო სიარული რომ აი-ლოთ, ადამიანი გამუდმებით ვერ შესძლებს უთუოდ ყოველ დღე 24 ვერსტის გავლას. ახლა ყარაულის სიარული რომ იქონიოთ სახეში, მა-

შინ ხომ რაღაც ყოველად შეუძლებელი რამ გამოდის. შარაულმა უნდა ათვლიეროს ყოველი რელსის მდებარება, ცალკე ყველა რელსზე უნდა გასინჯოს ოთხ-ოთხი ბურღი (ბოლტები) და თოთხმეტ თოთხმეტი ლუწისმანი (კასტელი), რომელიც ტრავერსზედ არის დამაგრებული; ახლა თითონ ტრავერსების გასინჯვა, ახლა არხების გადათვლიერება, ხიდები, მილები, თითონ ლიანდაგი და სხვა ათას ნაირი წერილობანი საქმეები, რომელთაც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ზოგჯერ უბრალო ბურღზედ ან რაღაც ტრავერსის უფარგისობაზედ მთელი მატარებლის ბედ-იღბალია დამოკიდებული. ჩვენ ვერ წარმოვიდგენია, რომ შესაძლებელი იყოს ამისთანა არა ჩვეულებრივი აღამიანების არსებობა დედა-მისი ზურგზედ, რომ შესძლონ ყოველ-დღე ხსენებული შრომის გაწევა და იმ გვარი ყარაულობის შესრულება, როგორც საქაროა გზის სიმრთელისათვის და მიმომავალთა უწყებლობისათვის. ზვიკვირს და გაგვიკვირებია...

რამდენი წელიწადი ჩამოიძაფა, რაც ჩვენს ქვეყანას დაწყებული სიძვირემ გაუჭირა საქმე! ყელა ნაირს ხორაგეულობას ცეცხლი ეკიდება. ზაქირდა ცხოვრება. ლუკმა პურის შოვნამ თან გადაიტანა მრავალი მუშა კაცი და ქალი, მეტადრე ობილისში, ამ სიძვირის ბუღეში. დღო-ცვილი წლებადღე წელიწადი საამურად განერჩევა წარსულ ნავსიან წლებს. დიდი ხანია არ მოესწრებოდა, რომ ქრისტეშობის თვეში ასეთი იაფი ფასები ჰქონდეს—პურსა, ქერსა, სიმინდა, ხორცს და, მეტადრე, თევზეულობას. ჩამოდის სოფლელი კაცი ქალაქში და მადლობას უხდის ღმერთს ეხლანდელი სიიადისათვის. ლარიბმა ხალხმა გაისისხლიანა ხორციტ კბილი. მისაც ხორცი მანაც კიდევ ეძვირება, ყიდულობს თევზეულობას. ახალახალი მშვენიერი გოჭი იყიდება გირვანქა ექვს კაპეკად, კაი, ნორჩი ლოქი-ფაჩა—გირვანქა შაურად, თუ ბევრი ერთად იყიდე, შაურად ორი გირვანქა მოგივა. ნეტავი არ იქნება, ამხედ უფრო გაიფადეს საგაისოდ ყველაფერი, მაგრამ ასეთმა ფასებმაც რომ გასტანონ, გინდა, ზამთრის გამო, ცოტა კიდევ აიწიოს პურისა და ხორცის ფასმა, კიდევ ეცხოვრება კაცს ჩვენს ქვეყანაში, თუმცა იმედია, რომ თევზეულობის ფასი ძნელად თუ იმატებს მომავალი წლისათვის. აგრეთვე მადლიანი სიიადე დაგზვდებათ ფრინველებისა, კვერცხისა, გარეული ცხოველებისა. ძურღელი, რომელშიაც შარშან მისცემდით მანეთსა და ექვს აბაზს, ეხლა ისყიდება 45—60 კაპეკად.

მს არის, რომ ამ ღვინოებს არა ეშველათ-რა, და ამიტომ ცხადია, რომ ხორაგეულობის გაიფება უნდა მივაწეროთ ბაქოს რკინის გზის გაყვანას. მაშ იქნება, ღვინის სიიადეს ვერ შევესწროთ, მანამ ძახეთზედაც

არ გააფლებენ რკინის გზას!... მგონი, ბევრი ლოდინი დაგვიკირდეს...

სოფ. ტუმისილამ, რომელიც ობილისილამ 25—30 ევრსზე მდებარებს, გვატყობინებენ შემდეგს ბოროტ-მოქმედებას: ამ სოფლის მცხოვრებთ მოსვლიათ მთავრობისაგან ბძანება სასოფლო სკოლის აშენებისა. ბძანებასთან ერთად მთავრობას გამოუგზავნია კანონისამებრ შედგენილი სმეტაც, რომელშიაც, სხვათაშორის, 25,000 ათასი აგურიც ყოფილა სკოლის შენობისთვის აღნიშნული. ტუმისელებს ეს საქმე მიუნდეთთ მამასახლისისთვის და სამი სხვა გლეხისთვის, რომელნიც მალე შესდგომიან მინდობილობის შესრულებას, და ას-სამოც თუმნად გაჭირებებიან შენობის დადგმას ჯერ ერთს ვილაცა ობილისელა მცხოვრებელს, რომლისთვისაც ამ თავითვე უთხოვნიათ თავის «საგამრჯელო» და რადგანაც ეს ამაზე არ დათანხმებულა, ამისაგამო ამორჩეულ პირთ მოუხნავეთ სხვა მეთჯარადრე. ამ უკანასკნელს ოცდაათი თუმნით დაუქმყოფილებია მათი სურვილი და ამ გვარად იმისათვის მიუციათ იჯარით ეს საქმე. ნორჩიული წესით შეუკრავთ პირობა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ რაც მეთჯარადრეს მუშა დასჭირდება სკოლის კეთებაზე და ობილისილამ აგურის მოტანაზე, სულ ამ სოფლიდამ უნდა გაიყვანოს და ხვედრი ფასი ოჯარის ფულში უნდა გამოუბაროს. ტუმისში 200 კვამლამდე მცხოვრებია და მეთჯარადრეს კვამლზე თითო კაცი უმუშავებია—დღეში 50 კაპეკად; ამას გარდა 25,000 აგურის მაგიერად 5000 მოუტანებია ამათთვისვე და დანარჩენი აგური აღარ დასჭირებია, რადგანაც სოფლის მახლობლად ერთი დამალი კლდე ყოფილა და ეს კლდე მოუხმარებია სკოლის შენობისთვის აგურის მაგიერად. ათასი აგურის მიტანაში მეთჯარადრე 10 მანეთს ქირას გაჭირებია, მაშასადამე, 5000 აგურის მიტანაში მას უნდა მიეცა 50 მანეთი. ამხე ორასი მუშის ფულიც რომ მივიდეთ, სულ ერთიანად შესდგება თხუთმეტი თუმანი. მაგრამ მეთჯარადრე ეხლა არც ამ ფულს თურმე უბრის კუმისელებს და არც 20000 აგურის ფასს. აღმორჩეულ პირთ, რასაკვირველია, მეთჯარადრის მხარე უჭირავთ და უქადაგებენ თურმე მცხოვრებლებს—მეთჯარადრეს ბევრი შარალი მიეცა და ვაპატიოთ, როგორც მუშის და აგურის მოტანის ფული, აგრეთვე 20000 აგურის ფასიცაო. მაგრამ სოფელი არა თანხმდება ამხე და ძალიანაც აღელვებულია თურმე ამისთანა უსინდისო მოტყუებისთვის.

რამდენად მართალია ყოველივე ეს, ჩვენ ამის თქმა დაბეჯითებით არ შეგვიძლიან, და ვბეჭდავთ ამას მხოლოდ იმისთვის, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს, გამოიკვიროს საქმის გარემოება და, თუ მართალი აღმოჩნდა, დაიხსნას საცოდავი გლეხ-

კაცი ამ გვარი უსამართლობისა და ცარცვა-გლეჯისაგან.

ზორილამა გვწერენ: «20-ს ამ თვისას ზორს ესტუმრა ბ. ობილისის გუბერნატორი ბროსმანი. ხალხი, როგორც რიგი იყო, დაუხედა. ამ დროსთვის დაბარებულნი იყვნენ მამასახლისები და შენიშნული, საცქვი მოქმედების თავდაზნაურებიც. ამ ვაქბატონებს გამოუცხადა ბროსმანმა, რომ ჩემამდინ მოვიდა ხმა, რომ ბევრნი თქვენგანნი ავაზაკობენ—მე სახელდებით არ ვიტყვი რომელია—რაიცა არ შეშვენი თქვენს წოდებას, ღირსებას და შთამომავლობასაო. უკეთუ დღეის შემდეგ ვინმე თქვენგანი კიდევ ვამიერებს ამისთანა ამბავს და ჩემ ყურამდის მოაღწევს, მაშინ იძულებული შევიქნები მოვახსენო მთავარ-მმართველს, რომელსაც უმადლესათა აქვს მიცემული ნება, რომ ოცდა-ოთხს საათში აღმინისტრაციული წესით იქმნეთ გაგზავნილი თქვენის სამშობლოდამაო. რასაკვირველია, გაგზავნიან სადმე რუსეთის გუბერნიებში.»

იქილამე გვწერენ: «თავდაზნაურობას ჰქონდა აქ ყრილობა და მოლაპარაკება «ნადელებზე» და ხიზნებზე. ზადასწყვიტეს ასე გაათავონ საზოგადო კრებაზე ეს საქმეები: «ნადელები» შეაყიდონ გლეხებს უთუოდ. ხიზნები აღვიარონ არენდატორებათ, ის ხიზნები, რომელნიც ბატონ-ყმობის მოსპობამდინ და მის შემდეგაც მდგარან და კიდევ სდგანან ნაბატონარის მამულზე, და დიდი ხანია, რაც დაბინავებულან და უცქერიან სახიზნო მამულს, როგორც თავის საკუთრებას. მაგრამ ისინი კი, რომელნიც დროებით არიან დასახლებულნი, იმათ უნდა მთავრობისაგან მიეცეთ ადგილი და დასახლდენ რომელსამე სახელმწიფო ადგილზე.

«სათავდაზნაურო სკოლის ფულების გასაწერ კომისიას 27-ს მეორე სხდომა ექმნება; პირველი სხდომა იმაზე იყო, რომ მიანდეს კომისიის წევრებს თავდაზნაურების აღწერა,—ვის რა შეძლება აქვს, რა მამული. მს ცნობა უკვე მოყვანილია აღსრულებაში, და 27-ს გასწერენ ფულს ზორის მაზრის თავდაზნაურობაზე.

«23-ს დეკემბერს მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ჩვენსკენ ყაზახები არიან გამოგზავნილი «ხეკუციად». 23-ს ისინი ჩამოვიდნენ შორისის ხეობილამ ობივალში და აქ დროებით დაბანაკდნენ. აქედამ ჯაისხეობისკენ მიდიან სათარეშოდ. «ხეკუციის» ასისთავს, ვილაც გარყენილ და გასალახანავებულ პირს, გაუგზავნია ოთხი ყაზახი სოფელს მრგნეთში და შეუკეთნია, რომ ქალი მოიტაცეთ და მომგვარეთო. მასახებს მოუტაცნიათ ერთი ახლად დანიშნული გლეხის ლამაზი ქალი და მიუგერიათ ოფიცრისთვის, რომელსაც ძალა უხმარნია ქანწულ ქალზედ. მიჭირლა დედ-მამა, ხალხი, მაგრამ

იმას იმითი უმართლია თურმე თავი, რომ რვა თუმანი მიეცეს...

სილნალიდამა გვწერენ: «დევლად განთქმული სიმდიდრით სილნალი დღითი-დღე უკან მიდის. მინც წინად ათას თუმნობით კოაჯობდნენ, დღეს ლუკმას ძლიერა მოულოდბენ. ძიდევ, მადლობა ღმერთს, გაუძლებდა სილნალი ამ სიღარიბეს, თუ რომ მოხელები სინიღისიერნი პაინც იყვნენ: წარსულ წლებში, მაგ., სახელმწიფო ხარჯის მომკრეფად იყო ბ. პ—ოვი, რომელიც ჩვეულებამებრ არა ზარობდა და სასტიკად იღებდა ყველასგან ხარჯსა. მის დროს მრავალი სახლის ავეჯულობა გაიყიდა ღარიბი ხალხისა. ბავიდა დრო და მოსახოვეს ანგარიში. აღმოჩნდა, რომ პ—ოვს 600 მანათი მიურთმევია. მს მირთმეული ფული ისევ ქალაქს დააწვა კისერზედ. ძალაქმა ვერ მოითმინა ამოდენა უენობა, შეადგინა განაჩენი, რომ პ—ოვი ჩვენს საზოგადოებიდამ განდევნილი იყოსო, მაგრამ ქალაქს ბედმა უმტყუნა და ეს განაჩენი ჩაიფუშა მკითხველებისაგან ცნობილის ადვოკატი ლ—ვის მეოხებით.»

«დროშის» კორესპონდენცია.

ს. პარდნახი, 20-ს დეკემბერს. ბაცხარებული შემოდგომის მუშაობა შესწყვიტა უცებ მოსწრებულმა სუსხიანმა ზამთარმა. ზღვები ნება-უნებურად შეეფარნენ ფარალალა სახლებს და გულხელ-დაკრეფილი მოუსხდნენ შუა ცეცხლსა.

ძიდევ კარგი, ვისაც ზამთრის სარჩო შინ ეგულება: მისთვის ზამთრის სუსხი არაფერია; მაგრამ, თქვენი მტერი, ვინც ვერ მოასწრო სარჩოს შეტანა სახლში! იგი უნებურად ემორჩილება თავის ხვედრს და გაჯავრებულ ზამთარ ეომება დღიურის საკვებავის საშოვნელად. ბუნების მოვლენას კაცი ვერსად გაექცევა და უეჭველად ყველა სულდგმული მოვალეა მისი ავ-კარგიანობა აიტანოს, მაგრამ წარმოიდგინე, მკითხველო, კაცის მდგომარეობა, როცა ერთ ვარამს ვერ უძღვება, იგი და ზედ მეორე ვარამიც მოასწრობს...

«დროშის» მკითხველმა კარგად იცის, რომ ყველა მაზრის უფროსმა, ქურდობის და ავაზაკობის მოსასპობად, დადგენენ ეს ყოველ სოფელში განაჩენი, რომლის ძალითაც ამ გვარი შემთხვევით დაზარალებული კაცი უნდა მთელმა სოფელმა ფეხზედ დააყენოს. მერავენ იტყვის, რომ ეს საშუალება არ იყოს კარგი, როგორც ქურდობის და ავაზაკობის მოსასპობლად, აგრეთვე ურთი-ერთული შემწეობისათვის; მხოლოდ საქმე დაწყობა კი არა, საქმე აღსრულებია!.. იმის დასამტკიცებლად, თუ ეს კეთილი დაწყება ხელს როგორ უწყობს არა კეთილ განზრახვას, მოვიყვან რამდენსამე მაგალითს ს. პარდნახის ცხოვრებიდამ: შარშან ზაფხულში

ადგილობრივი მამასახლისის შეიღობა, თავის დუქანში, შუადღისას, დაჰკარგა ვერცხლის ქამარი, 120 მან. ღირებული. რადგან ქურდი ვერ იპოვეს, მამასახლისმა შეიტანა თხოვნა ხალხთან დანაკარგის ასაყენებლად. მხოლოდში უმატებდა, რომ მას ეჭვი აქვს ერთს გლეხზე, **დ. ზოგებაშვილზე**. ხალხმა აიღო და ეს თორმეტი თუმანი შეაწერა ხსენებულს გლეხს და დუქანის დახლიდარს. **დ. ზოგებაშვილი** ეს შეწერა უკანონოდ იცნო და იჩივლა **ბ. გუბერნატორთან**. **ბ. გუბერნატორი**დგან მოვიდა მოწერილობა, რომ ეს საქმე უნდა სასამართლოში გადაეცეს, რადგან ეჭვი მართლად არ კაცზე ყოფილა. მამასახლისმა გაიყვანა მთელი წელიწადი და სასამართლოს არ მიმართა. ამას წინადაც ისევ გააცოცხლა ეს საქმე. ბაუ-უკეთა ამორჩეულ კაცებს მსუქანი სადილი და მეორე დღეს გააწერინა 120 მან. არა ორ გლეხზედ, არამედ ოთხზედა. აი, ამ რიგად ფეხზედ აყენებენ დაზარალებულებს!..

მეორე მაგალითი: ერთმა მებატონემ, წარსულს ზაფხულში, დაჰკარგა სახლიდამ, ღამე, ვერცხლეულობა 130 მანეთისა. მებატონემ, ჩვეულებისამებრ, შეიტანა ქალაქი ამორჩეულ პირებთან. მათ, ბევრი ფიქრის შემდეგ, ეს 130 მ. გააწერეს იმის მოსამსახურებზედ, რომელნიც დაკარგვის ღამეს ოცი ვერსის სიშორეზედ მუშაობდნენ, და აგრეთვე იმათზედ, ვისაც ოდესმე მის სახლში უმსახურია!!

როგორც მკითხველი ხედავს, «ამორჩეულნი პირნი» იმას კი არა ცდილობენ, რომ წაქცეული ააყენონ, არამედ ერთის წაქცევაზედ ორი და სამც ზედ მიაყოფიან. ნუ თუ ისინი ნამდვილად დაწმუნებულნი არიან, რომ, მაგ., სხვა ვერაფერ შეებრებდა მებატონის სახლში მსახურის მეტი? და თუ მართლა ფიქრობენ, მაშინ ეს საქმე მათ აღარ შეეხებათ—უნდა სასამართლომ გაარჩიოს, რადგან ქურდები უკვე აღმოჩენილან...

მართი სიტყვით, საქმის ამისთანა წარმოებით ამორჩეულმა კაცებმა ისეთი სენი მოსდეს სოფელსა, რომ მასთან ბრძოლა ეხლა ერთი ორად გაძნელდა, ხალხი ერთმანეთს უარესად გადაემტერა.

მტრობამ იქამდისინ მიიღწია, რომ ახალ ნორჩ ვაზებსაც აღარაფერ ინდობს და მათაც კი ჰკათავენ...

სამწუხარო ის არის უფრო, რომ ს. პარდენახის ამორჩეულ პირთ შორის ურევია ერთი დარბაისელი და გამოცდილი თავადი. არა, თუმცა მეორეც არის, მაგრამ იგი ხშირად არ ესწრობა ვაწერის დროს. სწორედ, რომ სიკეთის მაგიერად, ბოროტი დათვის ხალხში ამნაირმა ეითომ-მზრუნველობამ...

თ. კახელი.

**წერილი რედაქტორთან.**

ბატონო რედაქტორო!

უმარჩაველად გთხოვთ ნება მომცეთ ჩააღწიოთ სიტყვა მოგასხენოთ ამ უს-

ფუძელს სანაწარმად, რომელიც დაუწერიათ ჩემდა შესახებ ღანხსუთელ კატრებს «დროების» № 238-ში.

ისინი იწერებან, — «სტანციის უფროსის დისწულის უწესობაზედ რეგორც დაგუწერეთ გახეთში და უფროსმა წაიკითხა, მაშინათვე გადაყვანა სხვა სტანციაზედა». ამასვე უნდა მოგასხენოთ, რომ ჩემი დისწულის უწესობაზედ ჩემთან არასოდეს არავის არ უწივლავ და არცა რა უწესობა მე შემიძინა მასში; აგრეთვე იმის გადაყვანა მე არ მივთხოვია, ის გადაიყვანეს გარეში, სადაც მეტი მუშაობა არის და ჯამაგირიც მოუმატეს.

«გაგონებს დროზედ არ იმედა». «დროზედ» ისინი რას ეძახიან, არ ვიცი; ჩემს სტანციაში ჯერ არასოდეს არ მომხდარა, რომ სტანციის მიზეზით საქონელი არ გაგზავნილიყოს თავის დროზედ. სტანციის უფროსს თხოვს ჯოჯი ჭყავსო, რომელმაც შეგაკწურსო. ამისთანა ტყუილის თქმა მე დასაჯ არ გამოვიტყუებ და წინსუთელი კატრისაგან; მე დასაჯ მუყავს ერთად ერთი თხა თავის ციხით, რადგანაც თხის რძესა გვსამ, რეგორც წამდეს, და არავითარი წარაღი იმათ არავისთვის არ მიუციათ.

«სხვაგან თუ ვი არის მწონელი, ჩვენი ღანხსუთის სტანცია რა სხვაზედ ნაკლები გასწავთ ამ ბათუმის მარაშია». აი თუ ნაკლები არ არის: გზა რომ გაიხსნა, მაშინ თუე-ნახევარს იყო ცოტა რაღა მუშაობა, მოჭკნდათ სიმინდი და გაგზავნიდით; 15 აგვისტოს ვი თითქმის შესწულა სავაჭროს მატანა. მაგალითად, წარსულის ნომბრის 2, 10, 11, 18 და 29 იყო მიღებული სულ 5—6 ფუთი დღეში. ნომბრის დასაჩენ 25 დღეში რაღაც 25 გარვანჯა გაგზავნიდა შემოსავალი. აქვს სტანციას დღეში 60 კაზიკიდან სუთ მანეთადე. კიდევ გამოდის და იმასთან ჩვენ ვატრები ვართ, სხვა სტანციაზედ ნაკლები რითი არის ჩვენი ღანხსუთის სტანცია და სხვა.

ამასთან ზატყვემული კატრები მიჩვენებენ—სხვა სტანციაში რომ გადასვლიდა; ის სჯობა თქვენთვის და ჩვენთვისაცა. აქედან გადასვლა ჩემზედ არ არის დამოკიდებული, თორემ დიდის სანამოგებობით. უფროდ დღე ორ-ორ ჯერ მაცივებს, დღეში 10—15 გრანს ქინას უყვანავ, მაგრამ ცივება თავიდან ვერ მომიცილებია. რაღა სჯობა ამ დამსჯელი ადგილიდან წასვლას.

ამასთან, უნდა მოგასხენოთ, რომ მე ტუნსიური მოძრაობა მასარა, სოლოკომერციული ნაწილი—ჩემს თანამემწეს, ბობუგავსისა აქვს მინდობილი, რომელზედაც არავის უგმაუფილება ჩემთან არ განუცხადებია.

«გუგუსებან სტანციის უფროსს სძინავს, ანუ ჩაის მიერთმეკს და საქონლის მიღება გეგვიანდებოა»; მაშინ რაღესაც საქონლის მიღება და გაგზავნა არის საქმე თანამემწესი!

აქედან ცხადად დანახვით, რომ ღანხსუთელი კატრების სანაწარში არ არის არც ერთი იოტი სიმართლე და იმათ არავინ არ ავიწროებს.

ღანხსუთის სტანციის უფროსი დიმიტრი კალანდარიშვილი

**რუსეთი**

— «Русский Курьер»-ს აცუბინებენ, რომ სამმართველო წრეებში განძახება აქეთ მომავალს წელში ფოსტის და ტელეგრაფის კორესპონდენტებზე ტარიფი შეამცირონ; უკვე შენიშნულია, რომ ფოსტის და ტელეგრაფის ტარიფის შემცირება ძლიერ ამრავლებს ფოსტის და ტელეგრაფის მმართველთა რიცხვს. ამის გამო შინაურ საქმეთა სამინისტრო აპირებს უბრალო წერილების გასაგზავნად გარდასახადის შემცირებას: 7 კაპ. მაგიერ დანიშნული იქნება 6 კაპ. თითო ლოტზე, როგორც შინაურ კორესპონდენტებზე, აგრეთვე უცხოეთისაზედაც. ამიტომაც მომავალში განძახება აქეთ ჰყიდონ ფოსტის მარკები 6 კაპ., მტემველიანი კონვერტები კი—6 1/2 კ.

— პეტერბურგს მისულან ზოგიერთა ამერიკელები, რომელთაც აზრად აქეთ შემოიღონ კეროინის ხმარება შემის და ქვა-ნახშირის მაგიერად რკინის გზის მატარებლების გასათბობათ; ამერიკელების განძახების განხორციელებას უსათუოდ მოჰყვება რკინის გზის შენახვის გაიაფება. ამ დღეებში ამერიკელებმა უნდა სცადონ კეროინით მატარებლების გათბობა ინჟინერების თანადასწრებით.

— «Русский Курьер»-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში აღძრული იყო კითხვა შესახებ სამსახურის უფლებების მინიჭებისა სამეურნო სასწავლებლებში კურს შესრულებულთათვის. ეს საქმე გარდასცეს სახალხო განათლების სამინისტროს კომიტეტს, რომელმაც სამართლიანად სცნო სამეურნო სასწავლებლების შევირდებისათვის იმ უფლებათა მინიჭება, რომელნიც აქეთ რეალური სასწავლებლების შევირდებს ექვსის კლასის კურსის დასრულების შემდეგ; როგორც რეალისტები, სამეურნო სასწავლებლების შევირდები მოკლებულნი იქნებიან უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში და უნივერსიტეტში შესვლის უფლებასა.

— იმავე გაზეთს ნამდვილად შეუტყუია, რომ უნივერსიტეტის წესდების განხილვა დაბოლოებული არ იქმნება პირველს იანვრისათვის.

— **მ. ღვრბტ**ში გარდაცვლილა ერთი მდიდარი ვაჭარი **შამაევი**, რომელსაც დაუტოვებია შესანიშნავი ანდერძი; ამ ანდერძის ძალით **შამაევს** გარდაუტია **ქ. ღვრბტის**ათვის **250,000** მან.; ამ თანხის სარგებელი დანიშნულია სტიპენდიებად **ღვრბტის** გიმნაზიის და უნივერსიტეტის მოსწავლეთათვის.

— პეტერბურგში ჯერ-ჯერობით ჩვეულებრივი ზამთარი არ დამდგარა; ამის გამო იქ იმოდენად გავრცელებულა და გაძლიერებულა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომ სააღმყოფობებში ტყეა არ არას.

— «Русский Курьер»-ს აცუბინებენ, რომ პეტერბურგში ცხენებზედ დასაჯიანებულა ხმა, ვითომც ქალაქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბრსევი მომავალი წლიდგან ინიშნება შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

**უცხოეთი**

ჭრანტუხების მიერ სონტაის ადვბას დიდი მინიშნულობა აქვს ევროპის ქსლანდელ ზოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა ევროპიდან შორს, ძალიან შორს არის ის ადგილი, სადაც ამ უბამად ომია, მაგრამ თითქმის მთელი ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებული ტონკინის საქმესთან, რომ არათუ ვასაგვირველი არ არის იმაში, რომ მთელი ევროპა ამ უგანსხვლეს დროს ძლიერ შეტირებულა, განსაკუთრებით ესლა, რადესაც ასე თუ ისე უნდა გადასწდეს ეს საქმე. აქ მარტო ვაჭრობის საქმე არ არის საშიშარს მდგომარეობაში, — საქმე ის არის, რომ ჩინეთის შორტებში 400,000-მდე უგულა ევროპელთა ხალხთა კოლონიები სცხოვრობენ და უფროდ წამს მოსალაგნულია ეს ამოღენა ხალხი შეიქმნას მსხვერპლად ჩინეთის ხალხისა, რომელსაც ბევრჯერ დაუბრუნებია, რომ იმისთვის არავითარი ადამიანური წესი არ არსებობს და არავითარი მსხვერპი მოქმედების ჩადენას არ მოკრძობს. ამისაგან აწამტოვ ევროპის დიდთ სახელმწიფოთა აქსო დამზადებული ესკადრები ჩინეთის ზღვებში გასაგზავნად, არამედ თვით კატიკანშიც კი ჭფიჭობენ თურქე, რა ღონისძიებით დაიცვან მტრისაგან კატოლიკე კოლონიები.

და აი ამ დროს, რადესაც თითქმის მთელი ევროპა ასე შეშფოთებული და ადევნებული არის, მოვიდა ამბავი, რომ ჭრანტუხებმა სონტაი აიღეს, და, რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ძლიერს შთაბეჭდილებას მოახდენდა. უცხოეთელ უფროს-გაზეთებს ჯერ-ჯერობით არ გამოურკვევიათ, რა გაკლებს აქვს ამ ჭრანტუხების გამარჯვებას ევროპის ვაჭრობაზედ, — ჯერ-ჯერობით საუფრადებოდ მარტო ის მაინათ, რომ ამკამარჯვებამ ნათლად დაუმტყიცა მთელს ქვეყანას საფრანგეთის ძლიერება და ჩინეთის უძლურება. ამისათვის უადვილო არ იქნება ავლსწროთ ამ სიმაგრის ადვბას ქაქტი იმ გვარად, რეგორც ჭრანტუხული გაზეთები მოკვითხობენ.

**14** დეკემბრს (ახ. სტ.) საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს სონტაის ზოგერთა სიმაგრენი და წითელი მდინარის ნაპირზე დასახლდნენ. **16** რიცხვს ამ რაზმს მოემატა მოშველე ჯარი, რომელიც **5,000** გაციისაგან შესდგებოდა. დიდიდამ დაუწყეს მტრს თოფის სროლა; ცისეს სამ-კუთხივ შემოკრტყენ გარს და რადენსამე ალაგას კედლები შეანგრევს. სადამოს **5** საათამდენ თოფის სროლა არ შეწყვეტილას, და **5** საათზედ კი ხელ-ჩართული ომი გაიმართა. ცისეს კედლები სულ ერთიანად მიანგრძობინგრა და ნახგრევებზე მამაცურად იდ-

გა პატარა რაზმი. შავი დროები განმ-  
 ვინებით იბრძოდნენ. ანამელები მალე გა-  
 იქნენ და ჩინელები კი დიდხანს ომობ-  
 დენ ვაჟკაცურად. ფიცხელი ხელ ჩართუ-  
 ლი ომის შედეგ სიამგობები აიღეს და  
 დალაშქრდნენ. ჯარი აქ მოსვლას ექ-  
 სი დღე მოუნდა და სამი დღეც თითქ-  
 მის განუწყვეტელი ომში იყო, ძლიერ  
 დაიღალა და საჭირო იყო იმისთვის  
 მოსვენება; ამასთანავე აღმართა გურბე  
 დაწმუნებული იყო, რომ მეორე დღეს  
 ცისე თავის თავად დახვდებოდა ამისა-  
 თვის საჭიროდ აღარ ჰქვდა და დღე-  
 ლი ჯარი შეეწყობინა და ვიდრე მეორედ  
 მიეგება ცისეზედა იერთით. მაგრამ გურ-  
 ბე მოსტყუვდა; მეორე დღეს მოემსდ-  
 ნენ საომრად და სასტად კი დაჩხენ,  
 რადგანაც ქადაგი ცარიელი დასვდათ. იმ  
 დამეს მთავრობა, სადღაობი, ანამელები,  
 ჩინელები, — სულ ერთიანად გაქცეულიყ-  
 ნენ იმ კარით, რომელიც სამსრუთის-  
 კენ არის და რომელიც მტერი ჯერ არ  
 მისდგომოდა, და გურ-გაში დამალუ-  
 ლიყვნენ. ჰფიქრობენ, რომ მტერს  
 5,000 კაცზე მეტი ჯარი არა ჰყვანდათ,  
 მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ჯარი  
 გაწრთნილია, დასვლენებული ჯარიყო-  
 ფილა, და სონტაის, რაგორათაგან ბანინგს,  
 ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს,  
 რომ ესაა წითელი მდინარის მთელი  
 მარჯვენა მხარე ქრანტუხებს ჩაუვარდათ  
 სულში. აღმართა გურბემ მიიღო ორ-  
 დენი საპატრიო ლეგიონისა და ტელეგ-  
 მა, რომელიც მინისტრი-პრეზიდენტი  
 უცხადებს დიდს მადლობას მმართველ-  
 ბის, და ხალხის მაგობრად რაგორც  
 ჯარს, აგრეთვე იმის სახდალს.

სონტაის აღება, უკვე აღი, დიდს შთა-  
 ბუქდილობას მოახდენდა აგრეთვე ინდო-ჩი-  
 ნეთში და გიუმიც. საფრანგეთის მმარ-  
 თებლობა ესაა მოსვენებით არის შესასუბ  
 ანამის მმართველობის გამორკველსა. ანა-  
 მის მეფის მოკვლას და იმის მაგობრად 15  
 წლის უმწიფლის მეფედ დაყენებას ანამის  
 ტინანსთა მინისტრს ახრადებენ. ეს მი-  
 ნისტრი საფრანგეთის მოსისსლე მტე-  
 რისა და ესაა მთელი ანამის გამგეობის  
 საქმე თითქმის მარტო ამას უზურია  
 სულთ. მაგრამ ეტუება, რომ ვურაფერი  
 გაუბრუნა საფრანგეთის წინააღმდეგ.  
 ეს იქიდანაა სხანს, რომ მეფის მოკვლის მე-  
 რე დღეს საფრანგეთის საელჩო სადგურს  
 საღის არ დასცემია. სონტაის აღება, რასა-  
 კვირკვლია, უფრო-და-უფრო დიდს შაშს  
 ჩაუნერგავდა ანამელებს საფრანგეთის  
 ძლიერობისადმი და, თუ აქამდინ ვერასა  
 ჰბედადენ, ახლა სომ სრულიად აღარა-  
 ფერი არ შეეძლებათ. მაგრამ ქრანტუ-  
 ხები მაინც ფასილობენ — ანამის მმარ-  
 თებლობამ არ უღალატოს და ამის გა-  
 მო კიდევ მიუმატებიათ იქ ჯარი.

თუმცა სონტაიც აიღეს და მარტო  
 მენგიც წავიდა ინგლისში, მაგრამ ქრან-  
 ტუხებს და ჩინელებს შორის ჯერ დი-  
 ლომბითური ვაშერი მაინც არ შეუყ-  
 ტილა, და ყველანი დაწმუნებულნი არიან,  
 რომ ომს არ გამოუწყნადებენ ერთი ერთ-  
 მანერთსა.

გარდა ამისა, საფრანგეთის მმართვე-  
 ლობსა შესასუბ სონტაის აღებისა კიდევ  
 შედეგი ცნობა მიუღია ტონკინიდან:

როდესაც ქრანტუხები შესულან ცისეში,  
 იქ უნახავთ რვა თავ-მოკრიდი საფრან-  
 გეთის ტიურკოლი, ამათგან თურმე, რომ  
 ეს ტიურკოლები სონტაის აღების დროს  
 გასაკვირველის გულადობით და თავ-გა-  
 მოდებით შეცვიდნენ ცისეში ყველასედ  
 უწინარეს და, ვიდრემდის დანარჩენი ჯა-  
 რი მიეშველებოდა, მტერმა შეიპურა ისი-  
 ნი და თავები მოჰკეთათ. ამ თავ-მოკ-  
 რილი კაცების დანახვამ ისე განარისსა  
 აქრადელი სადღაობი, რომ, როდესაც  
 ცისეში შეცვიდნენ, ყველას დაუნდობ-  
 ლად უღებდნენ თურმე; ამით სხანს იმ  
 გარემოებას, რომ სონტაის აღების  
 დროს შავ დროშია დიდი ზიანი მიე-  
 ცათ.

**ტელეგრაფები**

(ჩვენის კორესპონდენტისაგან).  
 ფულის გამწვანება კომისიამ შვი-  
 ლების აღზრდისათვის გააწერა გო-  
 რის მაზრის თავად-აზნაურობაზედ  
 თითმეტი ათასი თუმანი.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

28 დეკემბერს.

სარატოვი. ქალაქის საბჭომ  
 მიიღო უმთავრესი პუნქტი პირო-  
 ბისა კომპანიისთან შესახებ ქალა-  
 ქის ელექტრიული განათებისა.

ოღესა. საფრანგეთის ცეცხლის  
 გემი «დორი», რომელიც მარ-  
 სელიდამ საქონლით დატვირთუ-  
 ლი მოდიოდა, დარდახელში დაი-  
 ლუპა. პასაჟირები და კომანდა გა-  
 დარჩნენ; საქონელი ჩაძირა.

გონ-პონი. გენერალს ბიშოს  
 უჭირავს სტანტონი ათასის გა-  
 ცით; ადმირალი გურბე ხანოში  
 რჩება; სონტაის გარემოდა აღ-  
 გილებისათვის მტერს თავი დაუ-  
 ნებებია. ანამელები ხანოისგან  
 გროვდებიან. სონტაოზედ ჭრან-  
 ცუხებმა უფრო იმიტომ გაიმარჯ-  
 ვეს, რომ ანამელებსა და შავს  
 დროშებს შუა უთანხმოება ჩამო-  
 ვარდა. ბანინგის გარნიზონი მხო-  
 ლოდ ჩინელებისაგან შესდგება.  
 28 დეკემბერს ხანოში სამხრელი  
 აფეთქება მოხდა და ჭრანცუხების  
 ორი არტილერიის ბატარეა  
 თითქმის სულ შეიმუსრა; ერთი  
 სალდათი მოკვდა და სამი დაიჭ-  
 რა. იმავე დღეს ორი-ათასი ანამე-  
 ლი ჭრანცუხების ჰოსტის თავს  
 დაესხა; ეს ჰოსტი 50 ზღვის სალ-  
 დათს ეჭირა და კარგად იყო გა-  
 მაგრებული თხრილებით და ღო-  
 ბით. ბრძოლა გაგრძელდა რამ-  
 დენსამე საათს; ანამელებს ასი გა-  
 ცი მოეკვდათ და დაეჭრათ და  
 შემდეგ უკან დაიწიეს. ნამდინგის  
 პროვინციაში ჭრანცუხებმა ანა-  
 მელების რამდენიმე ბრბო დაა-  
 მარცხეს.

პარი. მალე შეიკრიბება კომი-  
 სია ევკვიპტელი ჯარების სუდანი-  
 დამ გამოსვლის თაობაზე.

რომი. დღეს დიდის ამბით მო-  
 ინსენიეს წლის თავი ვიკტორ ემა-  
 ნუილის სიკვდილისა; პროვინციე-  
 ბიდან იტალიის კოლონიებიდან  
 და სამზღვბრ გარეთიდან 12,000  
 კაცი დაესწრო. საფლავზე ხალხ-  
 მა მრავალი გვირგვინი დააწყო.

პეტერბურგი. 29 დეკემბერს. ჩვენი  
 გარემე საქმეთა მინისტრი უეჭვე-  
 ლად წავა ვენაში, სადაც ავსტრიის  
 იმპერატორი იწვევს.

1881 წ. პირობის ძალით რე-  
 სეთსა და ჩინეთს შორის ორთავ  
 მთავრობის კომისარები შეუდგე-  
 ბიან სამზღვრის გაყვანას ჭერ-  
 განსა და დასავლეთის კამგარს  
 შუა.

ახლის წლიდან დაწესდება ინს-  
 პექტორების ზედამხედველობა  
 იმაზედ, რომ აღსრულებულ იქ-  
 მნან კანონები შესახებ მკირე წლო-  
 ვან მუშებისა.

გარემე საქმეთა სამინისტროს  
 წარმომადგენელად ებრუნება სა-  
 ქმეების კომისიამი დანიშნულია  
 პროტესორი მარტენსი.

გაზეთები ამობენ: გაღაწვე-  
 ტილიაო, რომ აქციონის გამგეო-  
 ბანი არ შეუერთდენ სახაზინო პა-  
 ლატებს.

პარი. სამინისტრო სრულებით  
 შესდგა. შინაურ საქმეთა მინისტ-  
 რის ამხანაგად ინგლისელია და-  
 ნიშნული.

**განსხვავებული**

მაქს პატივი გამოცემადა ყველა  
 ნაფონდის საზოგადოებათ, ყველა  
 ტრანსპორტის და ფოსტის კონტო-  
 რათ, აგრეთვე ყველა ვაჭართ, რო-  
 მელთაც ჩემთან რაიმე საქმე აქვსთ,  
 რწმუნების ქალაღი (ДОВЕРНОСТЬ).

**ინგლისის მადანისაში**

**თიის - ანოპიანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ  
 ფერს აძლევს, ფასი ერთი მუმი-  
 სა 2 მან., გატყავნით 2 მანეთი  
 და 28 კან.

(100—77)



**ბილიობრაჩიული ბანსადემა.**

პუნჯულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილთა ყრმათათვის, წიგნი პირ-  
 გელი, ი. გოგუბაშვილის რედაქციით, გამოვიდა სტამბიდან და ასეილება  
 გამოცემის გრაფიკის წიგნების მადანისაში. ფასი ორი ანაზი; ათი  
 კგზემზლარის მსიდეულს წიგნი დაეთმობა 33 კანეთათა. —

სომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმათათვის,  
 შედგენილი იაკობ გოგუბაშვილის მიერ, ასეილება იქვე; ფასი ექვსი მუ-  
 რი; ათი კგზემზლარის მსიდეულს წიგნი დაეთმობა ხუთ მანეთათა.

პარტა სამართავლონი, გამოცემა მეორე, შედგენილი მისგანვე,  
 იუილება იქვე. — ფასი სამი ანაზი; ათი კგზემზლარი მსიდეულს კარტი  
 დაეთმობა ათ მანეთათა. —

(10—2)

რომელიც მონსტანტინე მათხრეესა  
 ჰქონდა ჩემგან მიტეხული დღეს-  
 იკით გაუქმებულია და ძალიან ღირს-  
 ნება.

ფოთის მეორე გილდის ვაჭარი ივა-  
 ნე სეხანოვი. (2—1)

ინბირის მურაბის ბანკა 85 კან.,  
 მშენიერი აველსინის მარმელადი ქი-  
 ლა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტყლა-  
 პი ხმისთვის და ხეივლებისთვის გირ-  
 ვანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ.,  
 ფინჯნები ლამაქებითა დუფ. 2 მ.  
 40 კ.-დამ, წისკილები ყავისთვისა 1  
 მანათილამ, ბეზმენი სასწორი 1 მან.  
 25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-  
 დამ, ინბლისის მალაზიაში. აქვე  
 იყიდება ძალიან იაფად: ჩაინიკები,  
 ფოდნოსები, პრიბორი და სხვა სა-  
 ქონელი ბრიტანიის მეტალისა, ფან-  
 რები, უთუოები, უნაგირები; კლე-  
 ონკები და სხ. მზის საათი და ხე-  
 ლოვნებითი ყვავილოები შუშის კოლ-  
 პაკებით ნახევარ ფასად იყიდე-  
 ბიან. (8—8)

მშენიერი კუჩუ-კუჩანი ამ წლის  
 ბოლომდის იყიდება რვა ანაზად.  
 ინგლისის მადანისაში.  
 ნუ მისცემთ 2 მან. 20 კან. ან 2  
 მან. 40 კან. უარეს ჩაინი სხვაგან.  
 იქვე იყიდება ხელოვნური ყვავი-  
 ლები მინის ხუფებით, ლამაზა, ქუდე-  
 ბი, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავა-  
 ლი საქონელი ნახევარ ფასად.  
 (18—6)

რადგან ვსობთ ვაჭრობას სასმელე-  
 ბით და სხვათა საქონლით, ამისათვის  
 არა ჩვეულებრივის სიყვით ვუიღით: კა-  
 ნიაგს, პორტუგისს, სერესს, შამპანის  
 ღვინოს და სიგარებს ღონდონის მა-  
 გაზინში გამერცვიულ ბანკის ქვეშ.  
 (10—4)

საკონი.  
 გლიტრინისა, ნუშისა, ვარდისა, კორ-  
 ბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და  
 სხვა ბეჭი ინგლისის მადანისაში. იქ-  
 ვე ოდეკალნი და სხვა ტუალეტის გუთო-  
 ნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდ-  
 რე სხვაგან სადმე. (12—4)